USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №56
მაისი, 2024

თბილისი, 2024

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ნანა ჭანტურია

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №56 ბიულეტენს. მასში აღწერილია 2024 წლის მაისში განვითარებული მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

1. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონის" (ე.წ. „რუსული კანონის") მიღება

მოქალაქეების პროტესტისა და დასავლელი პარტნიორების წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა 14 მაისს, 84 ხმით 30-ის წინააღმდეგ, „რუსული კანონის" პროექტი მესამე და საბოლოო მოსმენით მიიღო.[1] კანონპროექტის მიღების შემდეგ რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ და დამოუკიდებელმა დეპუტატმა[2] ბოიკოტი გამოუცხადა როგორც საპარლამენტო, ასევე ყველა მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუშაობას.[3]

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა კანონპროექტს 18 მაისს ვეტო დაადო. „რუსულ კანონზე" პრეზიდენტის ვეტო „ქართული ოცნების" უმრავლესობამ 28 მაისს დაძლია 84 ხმით 4-ის წინააღმდეგ.[4] ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა 28 მაისს განცხადება გამოაქვეყნეს და „რუსულ კანონს" დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს.[5] ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი კანონპროექტზე პრეზიდენტის ვეტოს დაძლევას გამოეხმაურა. მისი თქმით, კანონის მიღება „უკან გადადგმული ნაბიჯია და საქართველოს ევროკავშირისკენ მიმავალ გზას კიდევ უფრო აშორებს".[6]

ვენეციის კომისიამ 21 მაისს „რუსულ კანონთან" დაკავშირებით დაჩქარებული წესით მოსაზრება გამოაქვეყნა, რომელშიც აღნიშნა, რომ კანონში არსებული ძირეული ხარვეზები მნიშვნელოვნად უარყოფით შედეგებს იქონიებდა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე.[7] პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ „რუსულ კანონზე" ვენეციის კომისიის მოსაზრებას „უსუსური" უწოდა და განა-

---

[1] „პროტესტის ფონზე, პარლამენტმა „უცხოელი აგენტების" შესახებ კანონპროექტი მესამე მოსმენით მიიღო", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 2024 წლის 14 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/606456, განახლებულია: 21.06.2024.

[2] ოპოზიციური პარტიები: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", „სტრატეგია აღმაშენებელი" და „ლელო", დამოუკიდებელი დეპუტატები: თამარ კორძაია და ტარიელ ნაკაიძე.

[3] „რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ და დამოუკიდებელმა დეპუტატმა პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადა", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 2024 წლის 14 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/606596, განახლებულია: 21.06.2024.

[4] „პარლამენტმა „უცხოელი აგენტების" შესახებ კანონპროექტზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 2024 წლის 14 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/609896, განახლებულია: 21.06.2024.

[5] „რუსულ კანონს არ დავემორჩილებით!" 2024 წლის 28 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.transparency.ge/ge/post/rusul-kanons-ar-davemorchilebit, განახლებულია: 21.06.2024.

[6] „შარლ მიშელი: გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღება საქართველოს ევროკავშირისკენ მიმავალ გზას აშორებს", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 2024 წლის 28 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/610102, განახლებულია: 21.06.2024.

[7] URGENT OPINION ON THE LAW ON TRANSPARENCY OF FOREIGN INFLUENCE issued on 21 May 2024 pursuant to Article 14a of the Venice Commission's Revised Rules of Procedure, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2024)013-e, განახლებულია: 21.06.2024.

ცხადა, რომ „ვენეციის კომისიას პროფესიულ ღირსებაზე საერთოდ უარი აქვს ნათქვამი“.[8]

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა („ეუთო/ოდირი“) 30 მაისს „რუსული კანონის“ შესახებ გადაუდებელი სამართლებრივი ანალიზი გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამია, რომ კანონი შეუთავსებელია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან და ქვეყნის, როგორც ეუთოს წევრი სახელმწიფოს ვალდებულებებთან.[9]

„რუსული კანონის“ საწინააღმდეგო აქციის მონაწილეების, პოლიტიკოსებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ დაშინების, მუქარისა და ფიზიკური შეურაცხყოფის ქმედებები განხორციელდა. სახალხო დამცველმა 13 მაისს განცხადება გამოაქვეყნა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა, დროულად და ეფექტიანად გამოეძიებინა ოპოზიციის წევრებზე, აქტივისტებზე, ჟურნალისტებზე, კანონპროექტის მოწინააღმდეგე მოქალაქეებზე თავდასხმის ფაქტები.[10] ამასთან დაკავშირებით ხელისუფლებას ზომების მიღებისა და ინციდენტების ზედმიწევნით გამოძიებისკენ დიპლომატიურმა მისიებმაც მოუწოდეს.[11] 16 მაისს საიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ზოგ შემთხვევაში, აქციის მონაწილეებზე პოლიციელების მიერ განხორციელებული ძალადობა, თავისი ინტენსივობითა და სისასტიკის ხარისხით, წამებას უტოლდება“.[12]

2. პარლამენტმა გენდერულ კვოტებზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია

15 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაძლია პრეზიდენტის ვეტო საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებაზე, რომელიც ქალი დეპუტატებისთვის გენდერული კვოტების გაუქმებას ითვალისწინებს. მას 85-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 22-მა კი კანონპროექტის წინააღმდეგ მისცა ხმა.[13]

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანული კანონის 39^1-ე მუხლიდან ამოიღეს ის ნაწილი, რომელიც ე.წ. „გენდერულ კვოტირებას“ ითვალისწინებდა. ამ ნაწილის მიხედვით, პოლიტიკურ პარტიებს საარჩევნო სიები ისე უნდა შეედგინათ, რომ ყოველ სამეულში ერთი მაინც განსხვავებული სქესის წარმომადგენელი ყოფილიყო. ამ წესის დაცვისას პარტიები მიიღებდნენ დანამატს სახელმწიფო დაფინანსებაზე.

3. პრეზიდენტმა „ქართული ქარტია“ წარადგინა

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გამოსვლისას პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პოლიტიკური კრიზისის მოგვარებისა და ევროკავშირში ინტეგრაციის

---

[8] პრემიერ-მინისტრი „უცხოელი აგენტების“ კანონზე ვენეციის კომისიის კრიტიკულ მოსაზრებას „უსუსურს“ უწოდებს, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 23 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/609021, განახლებულია: 21.06.2024.

[9] URGENT OPINION ON THE LAW OF GEORGIA “ON TRANSPARENCY OF FOREIGN INFLUENCE”, OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, 2024 წლის 30 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/files/f/documents/b/d/569922.pdf, განახლებულია: 21.06.2024.

[10] „სახალხო დამცველი მომიტინგეების პოლიტიკური, საქმიანობისა და მოსაზრების ნიშნით დევნაზე საუბრობს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 13 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/606221, განახლებულია: 21.06.2024.

[11] „სამოქალაქო აქტივისტებისა და ოპოზიციონერი პოლიტიკოსების მიმართ დაშინებისა და ძალადობის კამპანიას საერთაშორისო რეაგირება მოჰყვა“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 11 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/605290, განახლებულია: 21.06.2024.

[12] „რუსული კანონის“ დასაცავად ხელისუფლება მშვიდობიანი აქციის მონაწილეების წინააღმდეგ ძალადობას აგრძელებს“, საიას ვებგვერდი, 2024 წლის 16 მაისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/0mysK, განახლებულია: 04.07.2024.

[13] „პარლამენტმა გენდერული კვოტების გაუქმებაზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 15 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/607551, განახლებულია: 21.06.2024.

გზაზე დაბრუნების საგზაო რუკა „ქართული ქარტია“ წარმოადგინა. მისი თქმით, 2024 წლის ოქტომბრის არჩევნები იქნება რეფერენდუმი ამ საგზაო რუკის ძირითად დებულებებზე ხმის მიცემის შესახებ.[14] სალომე ზურაბიშვილის განმარტებით, „ქართულ ქარტიაში“ ასახულია საზოგადოების დაკვეთა და მოთხოვნა.[15] მისი თქმით, დოკუმენტი თავისი არსითა და სულისკვეთებით ასევე ემსახურება იმ მთავარი ნაბიჯების გადადგმას, რომლებსაც საზოგადოებისთვის დღეს ეგზისტენციალური მნიშვნელობა აქვს. ნაბიჯები, რომელთა შესრულების ვალდებულებას ამ ქარტიაზე ხელმომწერნი იღებენ, პრეზიდენტის თქმით, არის ქვეყნის ევროპული კურსისთვის დამაზიანებელი კანონების გაუქმება, მართლმსაჯულების სისტემის გათავისუფლება, ნდობის აღდგენა და საარჩევნო სისტემის გაჯანსაღება.[16] ქარტიის ტექსტის მიხედვით, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩასატარებლად უნდა შეიქმნას სათანადო პირობები, რაც გულისხმობს ცენტრალური საარჩევნო კომისიის („ცესკოს“) დაკომპლექტებისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესის გადახედვას, საარჩევნო ბარიერის დაწევას, ბლოკების შექმნის შესაძლებლობას, პარტიების დაფინანსების წესის გადახედვას და დიასპორისთვის არჩევნებში შეუფერხებელი მონაწილეობის შესაძლებლობის მიცემას.[17]

4. პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში ცვლილებები მიიღო

30 მაისს საქართველოს პარლამენტმა, 80 ხმით, საარჩევნო კოდექსში ცვლილებები მიიღო.[18] ცვლილებების მიხედვით, თუ ცესკოს სხდომაზე კენჭისყრის შედეგად ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მისაღებად საჭიროა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მხარდაჭერა, გადაწყვეტილებას იმავე სხდომაზე კენჭი ხელახლა ეყრება. ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს ცესკოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა დაუჭერს.[19] ასევე, უქმდება ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი, აგრეთვე, დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ შერჩეული ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები.[20] ცვლილებებამდე ცესკოს მოეთხოვებოდა საკონსულტაციო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცება, რომელსაც საარჩევნო დავების განხილვის პროცესთან დაკავშირებით ცესკოსთვის რეკომენდაციების მიცემა ევალებოდა.

5. პრეზიდენტის მიმართვა დიასპორას

27 მაისის მიმართვაში საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის „სრული მობილიზაციისკენ“ მოუწოდა.[21] პრეზიდენტის თქმით, 27 მაისი, ჩვეულებრივ, დიასპორის დღე უნდა ყოფილიყო, მაგრამ, მისთვის უცნობი მიზეზის გამო, „მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ წელს ეს დღე არ აღვნიშნოთ“. მოახლოებული არჩევნებისთვის მის მიერ შემუშავებულ გეგმაზე („ქართული ქარტია“) საუბ-

[14] „პრეზიდენტი: წარმოგიდგენთ სამოქმედო გეგმას - „ქართულ ქარტიას“, 2024 წლის 26 მაისი, ხელმისაწვდომია: https://president.ge/index.php?m=206&appeals_id=398, განახლებულია: 21.06.2024.
[15] იქვე.
[16] იქვე.
[17] იქვე.
[18] „პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში ცვლილებები მიიღო“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 15 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/610695, განახლებულია: 21.06.2024.
[19] კანონპროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“.
[20] იქვე.
[21] „პრეზიდენტი დიასპორას - თქვენი ხმა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ამ არჩევნებში. გვაჩვენეთ, გვითხარით, როგორი მომავალი გინდათ საქართველოსთვის“, პრეზიდენტის ვებგვერდი, 2024 წლის 27 მაისი, ხელმისაწვდომია: https://president.ge/index.php?m=206&appeals_id=399, განახლებულია: 04.07.2024.

რისას, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „ამ გეგმაში დიასპორას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს“.[22]

6. ეუთო/ოდირის საჭიროების შემფასებელი მისიის წარმომადგენლების ვიზიტი

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საჭიროების შემფასებელი მისიის წარმომადგენლები საქართველოს მაისში ესტუმრნენ. მათ შეხვედრები გამართეს ოპოზიციონერ დეპუტატებთან,[23] სამოქალაქო საზოგადოების და ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ეუთო/ოდირის დირექტორი მატეო მეკაჩი 23 მაისს საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილს შეხვდა.[24] პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი მზადაა, არჩევნებისთვის საქართველოში მოავლინოს როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისია. თავის მხრივ, ეუთო/ოდირის დირექტორმა მზაობა გამოთქვა, გააძლიეროს საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობა და მხარდაჭერა.[25]

7. ოპოზიციურმა პარტიებმა „ეროვნული წინააღმდეგობის ევროპული პლატფორმის“ შექმნა დააანონსეს

პარტიის „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ ერთობლივი ძალებით უნდა შეიქმნას „ეროვნული წინააღმდეგობის ევროპული პლატფორმა“.[26] მისი თქმით, ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან მჭიდრო კოორდინაცია. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა მხარი დაუჭირა „ლელოს“ ინიციატივას და განაცხადა, რომ აღარ უნდა არსებობდეს გამყოფი ხაზები პროქართულ, პროევროპულ და პროდასავლურ ქვეყნებს შორის. მან დაადასტურა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მზადაა დიალოგისთვის და ნებისმიერი კომპრომისისთვის. „სტრატეგია აღმაშენებელმა“ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც დაადასტურა გაერთიანების მზაობა საქართველოსა და მისი ევროპული მომავლისთვის.

8. ექსპერტული დოკუმენტით შეფასებული საარჩევნო რისკები

2024 წლის 31 მაისს გერმანიის მარშალის ფონდმა, ლორა თორნთონის ავტორობით, გამოაქვეყნა დოკუმენტი „საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები: წინასაარჩევნო რისკების შეფასება“.[27] დოკუმენტი მოიცავს წინასაარჩევნო პერიოდის ანალიზს და აერთიანებს ყველა იმ ძირითად მოვლენას, რომლებმაც, შესაძლოა, გავლენა იქონიოს არჩევნებსა ან წინასაარჩევნო გარემოზე. გარდა ამისა, დოკუმენტის თანახმად, „უცხოური ძალის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის გარშემო განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, წინასაარჩევნო პროცესში არსებობს

---

[22] იქვე.

[23] „გირჩი“, „ევროოპტიმისტები“, „ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოსთვის“, „ლელო – პარტნიორობა საქართველოსთვის“ და „მოქალაქეები“.

[24] „ეუთო/ოდირის მისია საქართველოს სტუმრობს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 23 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/609070, განახლებულია: 04.07.2024.

[25] იქვე.

[26] „ოპოზიციური პარტიები „ეროვნული წინააღმდეგობის ევროპული პლატფორმის“ შექმნას აანონსებენ“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 14 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/606648, განახლებულია: 04.07.2024.

[27] „Georgia's 2024 Parliamentary Election: Pre-Election Risk Assessment“, GMF, 2024 წლის 31 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.gmfus.org/news/georgias-2024-parliamentary-election-pre-election-risk-assessment, განახლებულია: 11.07.2024.

რისკი „არასტაბილური და განვითარებადი კრიზისისა, რომელმაც ხელისუფლება საკუთარ ხალხს დაუპირისპირა“.[28] დოკუმენტში საუბარია სხვა რისკებზეც. მათ შორისაა:[29]

- სამოქალაქო არეულობა ქართველი ხალხის, სამოქალაქო საზოგადოების, ჟურნალისტებისა და ოპოზიციის წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის გამო; დაკავებების, დაპატიმრებებისა და დაშინების გაზრდილი მაჩვენებლები;
- არჩევნებზე ძირითადი არაპარტიული დაკვირვების მცდელობების გაუქმება ან შეზღუდვა (ჯარიმების, დაპატიმრებების, აკრედიტაციის არარსებობის ან/და დამკვირვებელთა რეკრუტირებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო); ზედამხედველობის შეზღუდვა ან არარსებობა ყველა ეტაპზე (წინასაარჩევნო პერიოდი, არჩევნების დღე, შედეგების დათვლა);
- მედიის მიერ საარჩევნო კამპანიის შეზღუდულად გაშუქება ჟურნალისტებსა და მედიასაშუალებებზე ზეწოლის ან ჯარიმების გამო; საარჩევნო კანდიდატებისთვის არათანაბარი დროის დათმობა, დარღვევებთან დაკავშირებით საგამოძიებო ჟურნალისტიკის არასათანადო დაშვება;
- უარი საარჩევნო რეფორმაზე, რომელიც უზრუნველყოფდა საარჩევნო ადმინისტრაციისთვის გარკვეული დამოუკიდებლობის მინიჭებას, ასევე, მოხსნიდა საარჩევნო ბლოკებსა და/ან მაღალ ბარიერთან დაკავშირებულ აკრძალვებს; რჩება პარტიული საარჩევნო კომისია, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს საჩივრების სამართლიანი განხილვის პროცესს;
- ერთიანი ოპოზიციური პლატფორმის მარცხი კიდევ უფრო არღვევს ელექტორატს და იწვევს ხმების „დაკარგვას“ მაღალი ბარიერის გამო;
- „ქართული ოცნების“ საინფორმაციო კამპანია ომისა და ტერიტორიული მთლიანობის საფრთხეების შესახებ, დასავლეთის, როგორც „გლობალური ომის პარტიის“ წარმოჩენის მცდელობა და უცხოელი აგენტების კანონის გარშემო ცრუ ნარატივები აშინებს და აბნევს ამომრჩეველს, რომლისთვისაც ამ პროპაგანდისა და დეზინფორმაციის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება;
- არჩევნების სადავო შედეგების და შემდგომი არასტაბილურობის შესაძლებლობა, სამოქალაქო არეულობა.

დოკუმენტში წარმოდგენილია რეკომენდაციები ქართული სამოქალაქო სექტორისთვისაც, კონკრეტულად: მათ უნდა იბრძოლონ კრემლის პროპაგანდისა და ანტიევროპული ნარატივების წინააღმდეგ; მოსახლეობაში უნდა გააძლიერონ საინფორმაციო კამპანიები ელექტრონული არჩევნების შესახებ; პოლიტიკურ კანდიდატებს შესთავაზონ განსხვავებული პლატფორმები, რომლებიც მოიცავს ქვეყნის მთლიან ტერიტორიას, ხოლო არჩევნების დაკვირვების შემდეგ მონაცემების მიწოდება მოხდეს ერთიანი მკაფიო მიდგომით.[30]

ექსპერტები საერთაშორისო დონორებს მიმართავენ რეკომენდაციით, „ძლიერი პასუხი გასცენ“ მმართველ პარტიას და გააძლიერონ სამოქალაქო სექტორი.[31]

---

[28] „Georgia’s 2024 Parliamentary Election: Pre-election risk assessment“, By Laura Thornton with contributions from Tamara Sartania, 2024 წლის 31 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.gmfus.org/sites/default/files/2024-06/Georgia%20Election%20Analysis.pdf, გვ. 1.

[29] იქვე, გვ. 9.

[30] „Georgia’s 2024 Parliamentary Election: Pre-election risk assessment“, By Laura Thornton with contributions from Tamara Sartania, 2024 წლის 31 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.gmfus.org/sites/default/files/2024-06/Georgia%20Election%20Analysis.pdf, გვ. 10.

[31] იქვე, გვ. 10.